



# საინფორმაციო ბიულეტენი

მეოთხე გამოცემა 2015 წლის დეკემბერი



ENPARD დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ



## არის თუ არა თაფლის წარმოება მომგებიანი?

**იმერეთში კერძოდ კი ვანში მოხვედრის შემდეგ მთავარი გზიდან თუ გადაუხვევთ, ერთ პატარა და ლამაზ სოფელში, გემო ვანში მოხვდებით. მწვანე მთებით გარშემორტყმულ ამ უმშვენიერეს ადგილას საოცრად სუფთა ჰაერითა და წყლით შეგიძლიათ დატკბეთ, ისევე, როგორც მინდვრის ყვავილების სურნელით. ზვიად სანიკიძეს 50 სკა სწორედ აქ აქვს განთავსებული.**

„ ფუტკრები სულ მუშაობენ და არც მე მადლვევენ დასვენების საშუალებას“ - ამბობს 28 წლის ფერმერი ღიმილით, რომელიც უკვე 10 წელია ჩართულია თაფლის წარმოებაში. ზვიადი თაფლის

კოოპერატივის “ორე ეტ ლაბორას” წევრია. აღსანიშნავია, რომ სულ საქართველოში 164 თაფლის კოოპერატივია ოფიციალურად დარეგისტრირებული.

ქართული თაფლის მომავალი იმედის მომცემია. აღნიშნული სფერო დღითიდღე ფართოვდება და სანიკიძის მსგავსი მეფუტკრეები თავად ხედავენ დადებით ტენდენციებს, ისევე როგორც გაუმჯობესებას თაფლის რეალიზაციის კუთხით. საქართველოს ამჟამად აქვს უპირატესობა: არაჩვეულებრივი კლიმატი, კარგად შენარჩუნებული და მრავალფეროვანი გარემო, ინტენსიური

### სფერო ვითარდება და მეფუტკრეები თავად ხედავენ თუ რამდენად იზრდება ინტერესი მეფუტკრეობისადმი

სოფლის მეურნეობის შედარებით დაბალი მაჩვენებელი და მეფუტკრეობის ხანგრძლივი ტრადიცია. საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებული ფუტკრის სახეობა კავკასიური მთის რუხი ფუტკარი ცნობილია თავისი შესაძლებლობით აწარმოოს დიდი რაოდენობის თაფლი, ცივ



**არის თუ არა თაფლის წარმოება მომგებიანი?**



ამინდსა და ცუდ პირობებში. ამასთანავე, რუხი ფუტკარი ხასიათდება მსოფლიოში ყველაზე გრძელი ხორთუმი, რომელიც მას საშუალებას აძლევს მოიპოვოს ნექტარი მაშინაც, როცა ეს სხვა სახეობებისთვის შეუძლებელია.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ხელშეკრულება ( DCFTA) ქართველი თაფლის მწარმოებლებისთვის ღიას ხდის ბაზარს, რომელიც მოხმარებული თაფლის 40%-ის იმპორტს ახდენს. დღესდღეობით საქართველოს არ შეუძლია თაფლის ექსპორტი ევროკავშირში, მაგრამ მოსალოდნელია, რომ 2016 წლისთვის, DCFTA-ი შესაძლებლობას მისცემს ქართველ თაფლის მწარმოებლებს ქართული თაფლი პირდაპირ მოხვდეს ევროკავშირის ბაზარზე.

ისმის კითხვა: უნდა გაიზარდოს თუ არა ქართული თაფლის წარმოება? აღსანიშნავია, რომ ზრდა უკვე სახეზეა და საუბარია გასამშავებაზე, როგორც სკების, ასევე თავად მიღებული თაფლის რაოდენობის კუთხით. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საქსტატის მონაცემებით, 2006 წლისთვის

არსებული 146.300 სკა 403.400-მდე გაიზარდა, მაშინ როცა პროდუქტიულობამ 1.6 ტონიდან 4.1 ტონამდე იმატა იგივე პერიოდში.

მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში ქართული თაფლი გამორჩეულია, ის სხვა, უფრო დიდი მწარმოებლების პროდუქციასთან შედარებით, როგორც არის უკრაინა, უფრო ძვირადღირებულია. უფრო მეტიც, ბევრ შემთხვევაში თაფლის ექსპორტი შეუძლებელია ხარისხის ანალიზისა და სერტიფიცირების გარეშე, ქართული შიდა ბაზარი კი შორსაა სრული კონტროლისა თუ მყარი რეგულაციებისაგან. თაფლის გაყიდვას სახელმწიფოს მხრიდან ლიცენზირება



სჭირდება, სტანდარტების დაცვა და ანალიზი, რეგისტრაცია და დაბეგვრა. მთელი ქვეყნის მასშტაბით, მხოლოდ რამოდენიმე მწარმოებელია, რომელსაც აქვს საკმარისი რაოდენობისა და ხარისხის თაფლი საქართველოში არსებულ მაღაზიათა ქსელებში გასაყიდად. ევროკავშირს საკმაოდ მკაცრი მოთხოვნები აქვს თაფლის ხარისხთან დაკავშირებით. ანტიბიოტიკებისა და პესტიციდების რაოდენობის იდენტიფიცირება თაფლში უმთავრესი მოთხოვნაა, თუმცადა საქართველომ ჯერჯერობით ვერ მოახერხა აღნიშნული ნივთიერებებისგან სრულიად თავისუფალი ნიმუშების წარდგენა ევროკავშირში დასტურისთვის, წარჩენების მონიტორინგის გეგმის შესაბამისად.

არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ამჟამად უმჯობესია შიდა ბაზარზე აქცენტირება. ფერმერების უმეტესობისთვის, თაფლის წარმოების გაუმჯობესება, მათ შორის სტანდარტების კუთხით, დამატებით ძალისხმევას მოითხოვს. ისინი ამ ყოველივეს, როგორც დამატებითი შემოსავლის წყაროს უყურებენ და თვლიან რომ არ არსებობს საკმარისი ფინანსური დაინტერესება, თუ ბიზნესის

**146.300**  
სკა 2006 წელს

**403.400**  
სკა 2014 წელს

**2006 წელს საქართველოში 1.6**  
**ტონა თაფლი იწარმოებოდა,**  
**2014 წლისთვის კი ეს**  
**მაჩვენებელი 4.1 ტონა გახდა**





**ტექნიკური უნარ-ჩვევების დახვეწა და განვითარება, ისევე როგორც მარკეტინგის ხერხების შესწავლა ნამდვილად დაეხმარება ქართველ მწარმოებლებს**

სხვა დონეზე ასაყვანად. არის მთელი რიგი ნაბიჯებისა, რომლის გადადგმაც შეიძლება. უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ქართული მეფუტკრეობის ტრადიციას, დიდი ხნის ისტორიასთან ერთად, ხარვეზებიც აქვს. ტექნიკური უნარ-ჩვევების დახვეწა და განვითარება, ისევე როგორც მარკეტინგის ხერხების შესწავლა ნამდვილად დაეხმარება ქართველ მწარმოებლებს. ასევე საჭიროა ცნობიერების ამაღლება, იმის თაობაზე, რომ გარდა თაფლის რეალიზაციისა, მათ შეუძლიათ ფიჭის, თაფლის ცვილის, დედა ფუტკრებისა და სხვა პროდუქციის გაყიდვა.

ასევე, საჭიროა ტექნოლოგიებისადმი გაუმჯობესებული წვდომა, მაგალითისთვის, წარმოების პროცესში. ქართველი ფერმერები იყენებენ ხის ან ალუმინის ექსტრაქტორებს, მათი მცირე რაოდენობა თუ ახერხებს უუხანგავი რკინისგან დამზადებული ხელსაწყოთი სარგებლობას, რომელიც ბევრად უკეთ შეესაბამება საკვების უვნებლობის სტანდარტებს.

ამასთანავე, ფერმერებს შორის

თანამშრომლობის ბრძანს დადებითი ზეგავლენა ექნება, როგორც წარმოების ხარჯების შემცირებისთვის ასევე მარკეტინგისა და გაყიდვების კუთხით. მაგალითისთვის, კოოპერატივებისთვის ბევრად მარტივი იქნება დიდი კომპანიების მიერ მოთხოვნილი სტანდარტის დაკმაყოფილება, ვიდრე ცალკეული ფერმერებისთვის.

“თაფლი საჩინო” ამ ყოველივეს ნათელი მაგალითია. ეს გახლავთ მეორე დონის კოოპერატივი, რომლის წევრიც გახლავთ “ორე ეტ ლაბორა”, კოოპერატივი, რომელშიც ჩართულია სანიკიძე. “ჩვენ მივიღეთ გრანტი, როლის მეშვეობითაც შევიძენთ ხელსაწყოებს და დანადგარებს, კოოპერატივის წევრებისთვის სკების დასამზადებლად.”-გვიხსნის მინდია ქავთარაძე, კოოპერატივის თავმჯდომარე. „ახლახან, ერთერთმა წევრმა გრანტი მიიღო გადამამუშავებელი დანადგარების შესაძენად, რომელსაც მაისში, თაფლის აღების დროს გამოიყენებს; ახალი დანადგარი საშუალებას მოგვცემს

თაფლის შერევის, შესაბამისად ხარისხის სტანდარტები მთელ პროდუქციაზე იქნება ერთი და იგივე.

ფერმერებს ასევე ჭირდებათ სკების გადაადგილება სემონურად, დაბლობიდან მაღალმთიან ზონაში, რაც საკმაოდ დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ამჟამად, თანამშრომლობის ნაკლებობა მეფუტკრეებს შორის, არის მიზეზი იმისა, რომ ვერ ხდება ხარჯების შემცირება.

დღესდღეობით, საქართველო არ არის ევროკავშირის სიაში იმ ქვეყნებს შორის, საიდანაც თაფლის იმპორტი უსაფრთხოა. აღნიშნულ სიაში მოსახვედრად ნარჩენების მონიტორინგის გეგმის ქონაა საჭირო და მავნე ნივთიერებების გაქრობა თაფლის ნიმუშებიდან, რომელიც საერთაშორისოდ აკრედიტირებული ლაბორატორიის მიერ იქნება დადასტურებული და შესაბამისად მიანიჭებს ქართულ თაფლს ჯანმრთელობისთვის უვნებელი პროდუქტის სერტიფიკატს. პირველი პრობლემა უფრო რთულად მოგვარებადია, მაშინ, როდესაც ლაბორატორიული აკრედიტაციის მქონე ლაბორატორიაში უკვე შესაძლებელია



ნიმუშების გაგზავნა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის მხარდაჭერა აკრედიტაციის კუთხით გახლავთ უმნიშვნელოვანესი პროცესი საკვების უვნებლობის ჭრილში აღნიშნულ სფეროში. ■





## მეორე დონის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები: მცირე ნაბიჯებით, დიდი წინსვლისკენ

კოოპერატივების მეშვეობით ხდება ფერმერთა თანამშრომლობის მოდელის დამკვიდრება საქართველოში; ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის (ENPARD) , ისევე როგორც სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, თანამშრომლობენ აღნიშნული კუთხით წარმატების მისაღწევად. მთავარი მიზანია ფერმერების ძალისხმევის გაერთიანება ღირებულების ჯაჭვის ყველა ეტაპზე. ამისათვის კი, ხდება მეორე დონის კოოპერატივების შექმნის ნახალისება, რომლის წევრები ცალკეული ფერმერები კი არა, თავად კოოპერატივები გახლავთ. აღნიშნული პროცესის გასამართლებლად, რეგისტრაციის პროცედურები, როგორც პირველი, ასევე მეორე დონის კოოპერატივებისთვის იდენტური იქნება. „უმეტეს შემთხვევაში, მეორე დონის კოოპერატივი იქმნება ნედლეულის მწარმოებელი პირველი დონის კოოპერატივების მიერ, რომლებმაც

**„უმეტეს შემთხვევაში, მეორე დონის კოოპერატივი იქმნება ნედლეულის მწარმოებელი პირველი დონის კოოპერატივების მიერ, რომლებმაც გადანყვითეს ძალების გაერთიანება, იმ მიზნით, რომ გააუმჯობესონ თავიანთი საქმიანობა ყოველ ეტაპზე, წარმოების, გადამუშავების, შეფუთვის, დასაწყობებისა და მარკეტინგის წარმართვისას“**

გადანყვითეს ძალების გაერთიანება, იმ მიზნით, რომ გააუმჯობესონ თავიანთი საქმიანობა ყოველ ეტაპზე, წარმოების,

გადამუშავების, შეფუთვის, დასაწყობებისა და მარკეტინგის წარმართვისას“ - ამბობს გიორგი მიშელაძე, სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე.

ქვეყანაში ამჟამად 5 მეორე დონის კოოპერატივია დარეგისტრირებული: იმერეთში, ქვემო ქართლში, გურიაში და რაჭა-ლეჩხუმში მეფუტკრეობის, მეცხოველეობის, მევენახეობის და მეჩაიეობის კუთხით. ერთ-ერთი მათგანი გახლავთ „თაფლი საჩინო“, მეფუტკრეობის კოოპერატივი რომელიც 2015 წლის თებერვალში დარეგისტრირდა. აღნიშნული კოოპერატივების წევრები ნედლეულის მწარმოებელი 5 კოოპერატივია ვანიდან და ბაღდათიდან, იმერეთის რეგიონიდან.

რა თქმა უნდა, დიდი გაერთიანება გაზრდილ პასუხისმგებლობას და გართულეულ გადანყვითელების მიღების პროცესსაც გულისხმობს. „ჩვენ 51 წევრი ვართ, ➔



## რაც უფრო მეტი ნედლეულის მწარმოებელი კოოპერატივი გაერთიანდება, მით უფრო ნაკლები იქნება წარმოებისას გაღებული ხარჯები

აქედან 20 ქალია. სულ 900 სკა გვაქვს“ - გვიხსნის მინდია ქავთარაძე, „თაფლი საჩინოს“ თავმჯდომარე. „თითოეული კოოპერატივი წარადგენს კანდიდატურას დირექტორთა საბჭოში, რომელიც თავის მხრივ, ყოველწლიურად ნიშნავს თავმჯდომარეს. „თაფლი საჩინო“ მხარდაჭერილია ENPARD-ის განმახორციელებელი პარტნიორის, მერსი კორპის მიერ, რომელმაც თავისი მუშაობის არეალი გააფართოვა ახალციხის, ასპინძის, ადიგენის, სიღნაღის და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში, კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამის განსახორციელებლად.

დიდ გაერთიანებაში ერთობლივ გადანაწილებამდე მისვლა ზოგჯერ გამოწვევაა, მაგრამ ზუსტად ცოდნა იმისა, თუ რა სარგებელი მოაქვს თანამშრომლობას, საქმეს ამარტივებს. რაც უფრო მეტი ნედლეულის მწარმოებელი კოოპერატივი გაერთიანდება, მით უფრო ნაკლები იქნება წარმოებისას გაღებული ხარჯები.

„მეფუტკრეობა მოითხოვს მრავალი დარგის ცოდნას და ამ საქმისთვის თავის გართმევა მარტო ჩვეულებრივ ადამიანს კი არა, პროფესიონალსაც უჭირს. „- ამბობს ქავთარაძე. „ჩვენ გადანაწილებული გვაქვს ფუნქციები წევრებს შორის: ზოგიერთი წევრი სკის გაკეთებითა დაკავებული, ზოგი უვლის ფუტკარს და ასე შემდეგ. მსგავსი მიდგომა, შრომის გადანაწილების შესახებ



აიოლებს საქმეს და ამავდროულად თითქმის ანახევრებს წარმოების პროცესში განეულ ხარჯებს.“

მიმელაძის თქმით: „მეორე დონის კოოპერატივის ზოგადად შეუძლია ხარჯების შემცირება. ის აუმჯობესებს წარმოების პროცესს საზიარო დანადგარებისა და მოწყობილობების გამოყენების ხარჯზე, რაც ზრდის შანსს ახალ ბაზრებზე გასვლისა.“ პირველი დონის კოოპერატივების წევრებს ეძლევათ შესაძლებლობა უფრო მეტი მოგება ნახონ გაყიდული საბოლოო პროდუქტიდან, იქნება ეს თაფლი, ღვინო თუ ყველი.

საგადასახადო სისტემაც ასევე არის ერთ-ერთი ნამახალისებელი ფაქტორი მსგავსი კოოპერატივების ჩამოყალიბებისთვის. მანქანა-მოწყობილობები რომელსაც ისინი იღებენ, ENPARD-ის ან სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, არ ანგარიშდება მოგებად, მაშინ როცა ქონების გადასახადზე და შემოსავალზე, მათ შორის

დივიდენდებზე, დამატებითი შეღავათებია; ეს ყოველივე იქითკენაა მიმართული, რომ კოოპერატივების წევრებისთვის საქმიანობა უფრო მომგებიანი იყოს. ამასთანავე, კოოპერატივები განთავსუფლებულნი არიან საშემოსავლო გადასახადისგან ნედლეულის რეალიზაციისას, მიუხედავად მოგების საერთო ოდენობისა.

„თაფლი საჩინოს“ აქვს შემგროვებელი პუნქტი ქალაქ ვანში, სადაც ხდება თაფლის დაფასოება და ეტიკეტირება. „ხარისხი არ არის ერთგვაროვანი და ეს ქმნის პრობლემებს გაყიდვების კუთხით, თუმცა ეს ნელ-ნელა იცვლება მხარდაჭერის დახმარებით“- ამბობს ქავთარაძე. „კოოპერატივის ერთმა წევრმა ახლახან მიიღო გრანტი გადამამუშავებელი მოწყობილობის შესყიდვისთვის, რომელიც ახდენს სხვადასხვანაირი თაფლის არევის, რაც შესაბამისად შესაძლებელს გახდის ერთიდაიმავე ხარისხის თაფლის წარმოებას მეორე დონის კოოპერატივის ფარგლებში. ■

**1,220**  
პირველი დონის  
კოოპერატივი  
(2015 წლის 31  
ოქტომბრისთვის)

**5** მეორე დონის  
კოოპერატივი  
მეფუტკრეობის,  
მეცხოველეობის, მევენახეობის  
და მეჩაიეობის განხრით

**უპირატესობები:**  
- ხარჯების გადანაწილება,  
- გაზრდილი წარმოება,  
- ცოდნის ურთიერთგაცვლა,  
- საზიარო ხელსაწყოები და  
მოწყობილობები



# ENPARD-ი დახმარებას უწევს საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგიის შემუშავებაში

**საერთაშორისო კონფერენცია „სოფლის განვითარება საქართველოში“ 2015 წლის 11 დეკემბერი, სასტუმრო ჰუალინგ თბილისი, თბილისის ზღვის ახალი ქალაქი**



სოფლის მეურნეობის მოდერნიზაცია უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია სოფლად სიღარიბის აღმოსაფხვრელად, თუმცა სასოფლო ეკონომიკის დივერსიფიცირება ასევე მნიშვნელოვანია საბოლოო მიზნის მისაღწევად.

ამ ეტაპისთვის, საქართველოს არ გააჩნია ცალკეული პოლიტიკა სოფლის განვითარების კუთხით, თუმცა ENPARD-ის მეშვეობით ევროკავშირსა და საქართველოს მთავრობას შორის შედგა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ევროკავშირი დაეხმარება საქართველოს ახალი, სოფლის განვითარების სტრატეგიის მიღებაში, რომელიც შეიმუშავებს კონკრეტული მხარდაჭერის პროგრამებს საქართველოს სოფლებისთვის.

2015 წლის 11 დეკემბერს, ევროკავშირის ოფიციალური პირები, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციისა და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელობით, ყველა პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებს შეკრებს თბილისში, რათა წარადგინოს სოფლის განვითარების ევროპული გამოცდილება და

## თემებს და ადგილობრივ ხელისუფლებებს სჭირდებათ შესაძლებლობები და რესურსები რათა მოახდინონ ადგილობრივი სტრატეგიების განვითარება

განიხილოს საქართველოში სოფლის განვითარების ხედვები, იმ მიზნით, რომ მოხდეს კონკრეტული გზის დასახვა, რომელიც შესაძლებელს გახდის ინტეგრირებული პოლიტიკის შემუშავებისა ქვეყანაში სოფლის განვითარების მისაღწევად. არსებობს მოსაზრება, რომ ბევრ სოფელს საქართველოში აქვს პოტენციალი განვითარდეს სოფლის მეურნეობის მიღმა, რადგან მათ აქვთ დიდი პოტენციალი, უნიკალური ბუნების ლანდშაპტიდან, კულტურიდან და ტრადიციებიდან გამომდინარე. ამ კუთხით, სოფლის

განვითარების ევროპული გამოცდილება გამოსადეგი იქნება საქართველოსთვის.

ევროპაში, სოფლის განვითარების მხარდაჭერა ბოლო წლების განმავლობაში დაეხმარა ადგილობრივი პროცესების გაძლიერებას, შესაძლებლობების გაუმჯობესებას და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის აღჭურვას უკეთესი რესურსებითა და წახალისების მეშვეობით, რომელიც მათთვის ხელმისაწვდომს ხდის გაუმჯობესებულ მომსახურებას და ქმნის საშუალო ადგილებს სოფლის მეურნეობის, ეკო-ტურიზმისა და სხვა ადგილობრივი ბიზნესთან დაკავშირებული პროფესიების კუთხით.

სოფლის განვითარების მიდგომები ადგილობრივი თავისებურების გათვალისწინებას ეფუძნება და მიზნად ისახავს თემისა და თვითმმართველობის გაძლიერებასა და მხარდაჭერას, რათა მათ თავად შეძლონ განსაზღვრონ რეგიონის პრიორიტეტები და განახორციელონ ადგილობრივი განვითარების სტრატეგია. აღნიშნული მიდგომა დაეხმარა უამრავ მაცხოვრებელს სოფელში ინფრასტრუქტურის, ისევე როგორც მომსახურებისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაში, რამაც გამოიწვია მრავალი სახის შედეგის მიღება, რადგან მოხდა საჯარო და კერძო სექტორის მოზიდვა სოფლად.

ევროკავშირმა, ENPARD-ის ფარგლებში სოფლის განვითარების კომპონენტი წარმოადგინა, რომლის ფარგლებშიც ის დაეხმარება საქართველოს მთავრობას სოფლის განვითარების მასშტაბურობის მრდაში, სოფლის განვითარების პოლიტიკაზე დაფრდნობით, რომელიც თავის მხრივ საუკეთესო ევროპულ გამოცდილებას დაეფუძნება. შესაბამისად, საერთაშორისო კონფერენცია „სოფლის განვითარება საქართველოში“ დაეხმარება მონაწილეებს შეთანხმდნენ სამოქმედო გეგმაზე, რომელიც შესაძლებელს გახდის ევროკავშირსა და საქართველოს შორის შედეგიან თანამშრომლობას, რათა მოხდეს ეფექტიანი სტრატეგიის შემუშავება სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მხარდასაჭერად მთელი ქვეყნის მასშტაბით. ■

